



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 CITY HALL OF DEDOPLISTSKARO MUNICIPALITY



ბრძანება:ბ56. 56232443

თარიღი:01/09/2023

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის
 ბრძანება**

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის
 საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე ნაწილის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №283 ბრძანების 4-ე დანართის 4-ე პუნქტის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 მარტის #ბ56.56230659-ე ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

- 1.დამტკიცდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართი 1 - ის შესაბამისად;
- 2.დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს (ელენე ბაიაშვილი) მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებები მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.
3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
- 4.ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონული სასამართლოს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ #2) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

ნიკოლოზ ჯანიაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი



